ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №565801

ნომერი: AR1109604

თარიღი : 14.02.2013

გაცემის თარიღი : 28.02.2013

გაცნობის თარიღი : 28.02.2013

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა გორგასალი , N 3 ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ნოდარ ტოტოღაშვილი პ/ნ 01013006941
- თბილისი, მიცკევიჩის ქ. #29, კორ. 5, ბ.34

ორგანიზაცია:
- შპს ,,ნარიყალა" კოდი: 204379555

ნომენკლატურა :

- სარეაბილიტაციო სამუშაოები (დაზვერვა, გაწმენდა, კონსერვაცია, რეკონსტრუქცია, რესტავრაცია, ადაპტაცია, უძრავი ძეგლის ცვლილება)
- II კლასი
- ძეგლზე ჩასატარებელი სამუშაოები
- ესკიზის წინასწარი შეთანხმება

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა და ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის წარმომადგენელთაგან ქალაქ თბილისის მერიაში შექმნილი სათათბირო ორგანოს გაერთიანებული სამეცნიერო-მეთოდური საბჭოს დებულების მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ''ბ'' ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-2 პუნქტის ''ა'' ქვეპუნქტის შესაბამისად განაცხადი და თანდართული დოკუმენტაცია განსახილველად წარედგინა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა და ქ.

თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის წარმომადგენელთაგან ქალაქ თბილისის მერიაში შექმნილ სათათბირო ორგანოს - გაერთიანებულ სამეცნიერო-მეთოდურ საბჭოს (ოქმი N7, 19.02.13 წ.), რომლის დასკვნის საფუძველზეც უარი ეთქვა ქ. თბილისში, ძველი თბილისის რაიონში, გორგასლის ქ. N3–ში (ძეგლი) არსებული შენობის რეკონსტრუქციის (დაშენება) ესკიზური პროექტის წარმოდგენილ ვარიანტს საბჭოს წევრების რეკომენდაციების გათვალისწინებით: "მეტისმეტად გავს ციხე–სიმაგრეს. აუცილებელია, რომ აბანოს გუმბათი არ მოექცეს აგურის კედლების შიგნით, უნდა აღიქმებოდეს ქუჩიდანაც და სკვერიდანაც. მწვანე ღობე მისაღებია".

სამსახურმა გაითვალისწინა საბჭოს გადაწყვეტილება და მიზანშეწონილად მიიჩნია, რომ განმცხადებელს, ნ. ტოტოღაშვილს უარი უნდა ეთქვას თხოვნის დაკმაყოფილებაზე.

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

ვბრძანებ

1. უარი ეთქვას, მოქ. ნ. ტოტორაშვილს, ქ. თბილისში, ძველი თბილისის რაიონში, გორგასლის ქ. N3–ში (ძეგლი) არსებული შენობის რეკონსტრუქციის (დაშენება) წარმოდგენილი ესკიზური პროექტის შეთანხმების თაობაზე

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.